საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020175781102819

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 24/CIRC/MSD **09 / ივლისი / 2019 წ.**

ბათუმის ნავსადგურის აკვატორიაში მოძრავი
სასეირნო მცურავი საშუალებების მფლობელებსა და
ოპერატორებს

შინაარსი: ბათუმის საზღვაო აკვატორიაში სასეირნო მცურავი საშუალებების შესახებ.

სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ გაცნობებთ, რომ ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ბათუმის ნავსადგურის იახტკლუბის აკვატორიიდან გამომავალი და შემავალი სასეირნო მცურავი საშუალებების (ე.წ. სკუტერების) მხრიდან არაერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც დიდი სისწრაფით მოძრავი სკუტერი სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა ნავსადგურში შემომავალ/გამავალ გემს და შექმნა ავარიული სიტუაცია. ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როცა ამდაგვარი სახის გასართობი მცურავი საშუალებები შედიან აკრძალულ ზონაში (საბანაო ზოლში) და საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანება № 019 „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ მე-9 მუხლის მიხედვით „გემის ნავსადგურში შესვლის ან ნავსადგურიდან გასვლისას თევზსაჭერი, სპორტული, სასეირნო და სხვა მცურავი ობიექტები უნდა განთავსდნენ გემის სვლაგეზისგან მოშორებით, არ გადაეღობონ გემის მოძრაობას და მისცენ მას თავისუფალი მანევრირების საშუალება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ყველა თევზსაჭერი, სპორტული თუ სასეირნო მცურავი საშუალებების მფლობელები/ ოპერატორები ვალდებულნი არიან ნავსადგურის შემოსასვლელ არხში შემომავალი/გამავალი გემის მოძრაობის დროს დაიჭირონ სათანადო დისტანცია ნავსადგურში შემოსასვლელი არხიდან, რათა ხელი არ შეუშალონ გემის უსაფრთხო მოძრაობას და რისკის ქვეშ არ დააყენონ ადამიანების სიცოცხლე.

ნავსადგურის აკვატორიაში ნაოსნობის უსაფრთხოებაზე კონტროლს ახორციელებს ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სამსახური. ნავსადგურის წესების ზემოთ აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში მფლობელს/ოპერატორს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ იოსელიანი